

შპს “არალ-პეტროლი”-ს

ს.კ 222729527

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2018 წელი
ნეტო ამონაგები	3	<u>3 191 858</u>
საქონლის გაყიდვიდან		3 131 407
მომსახურების გაწევიდან		55 264
საშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		5 187
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		<u>(3 048 007)</u>
საწყისი მარაგები		(76 323)
მარაგების შესყიდვა		(3 077 185)
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები		105 501
საერთო მოგება		<u>143 851</u>
სხვა შემოსავალი		-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(65 525)
ცვეთა და ამორტიზაცია		(12 324)
საპროცენტო შემოსავალი:		-
საპროცენტო ხარჯი :		(55 645)
იჯარის ხარჯი		(11 400)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(47 515)
სულ საოპერაციო ხარჯები	4	<u>(192 409)</u>
საოპერაციო მოგება/ზარალი		<u>(48 558)</u>
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		<u>(76 634)</u>
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(48 558)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		<u>(125 192)</u>

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

შპს "არალ-პეტროლი"

	<i>შენიშვნა</i>	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	10 630	58 621
სავაჭრო მოთხოვნები	6	237 413	212 937
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		-	-
მარაგები		105 501	76 323
- მზა პროდუქცია		-	-
- სხვა		105 501	76 323
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-
- გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	7	1 977	1 977
ძირითადი საშუალებები	8	55 279	64 986
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		<u>410 800</u>	<u>414 844</u>
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	161 383	162 214
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	10	1 860	9 273
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	372 749	319 991
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		<u>535 992</u>	<u>491 478</u>
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(125 192)	(76 634)
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>(125 192)</u>	<u>(76 634)</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>410 800</u>	<u>414 844</u>

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(97 987)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 763)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	52 758
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	<u>(47 992)</u>
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	<u>58 621</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>10 629</u>

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “არალ-პეტროლი” (ს/ნ 222729527) (შემდგომში “კომპანია”) რეგისტრირებულია 2009 წლის 14 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ადიგენის რაიონი, ბათუმი-ახალციხის გზის 149კმ,+100მ. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ბენზინითა და დიზელით, ამასთან დამატებით საქმიანობას წარმოადგენს გადაზიდვის მომსახურება. კომპანია საქმიანობას ახორციელებს ორ ავტოგასამართსადგურზე: 1. საქართველო, ადიგენის რაიონი, ბათუმი-ახალციხის გზის 149კმ,+100მ; 2. საქართველო, ახალციხე სოფელი წნისი. შპს “არალ-პეტროლი”-ს 100%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორია პავლე ბათმანაშვილი (პ/ნ 03001000172).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგენა მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სკს) მიხედვით საწარმოს მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან/და არარეზიდენტები საქართველოში. მოგების გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან. დივიდენდის გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახდი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად იმისა თუ რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდის გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად: ეკ. საქმიანობასთან დაუკავშირებული ხარჯები, საქონლის ან/და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, არასაბაზრო გარიგებით აღრიცხული გარიგებები და სხვა) ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია. მოკლე და გრძელვადიანი.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია:

- თუ აქტივის ფლობის მიზანია გაჭრობა;
- თუ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა;
- თუ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- თუ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია:

- თუ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- თუ ფლობის მიზანია გაჭრობა;
- თუ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- თუ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულება გრძელვადიანია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულების თანხა შემცირებული დაგროვილი ცვეთით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ყოველწლიურად რისთვისაც გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთი (პროცენტი):

ძირითადი საშუალების დასახელება	გამოყენების ვადა
მანქანა-დანადგარები	15%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების რემონტი	20%

იმ შემთხვევაში თუ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივი შეფასდება რეალური ღირებულებით.

იჯარა

იჯარის განსაზღვრა ხდება იჯარის დაწყების მომენტში მისი არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის გამოყენების უფლებას მაშინაც კი თუ ეს აქტივი მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირებას ახდენს იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებიდათ ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

ხოლო საოპერაციო იჯარას წარმოადგენს ისეთი იჯარა რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მემიჯარე

აქტივის კლასიფიცირებას ახდენს იჯარის საწყისი თარიღით, თუ კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება, საიჯარო ქირის აღირება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში როდესაც მოხდა მისი მიღება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღირება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიაციო ფასს შორის იმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისაგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება და გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. ამონაგები

	2018 წელი
	ლარი
შემოსავალი დიზელისა და ბენზინის რეალიზაციიდან	3 131 407
შემოსავალი გადაზიდვის მომსახურებიდან	55 264
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	5 187
	<u>3 191 858</u>

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2018 წელი</u> ლარი
ელ. ენერგიის ხარჯი	12 051
ინტერნეტის ხარჯი	1 729
სატელეფონო ხარჯი	736
დასუფთავების ხარჯი	1 954
დაზღვევის ხარჯი	3 495
საკანცელარიო ხარჯი	611
სამეურნეო ხარჯები	12 500
სასაქონლო ნიშნის გამოყენება	2 690
სხვა ხარჯები	11 749
	<u>47 515</u>

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2018 წელი</u> ლარი	<u>2017 წელი</u> ლარი
ნაღდი ფული საღაროში ლარებში	6 944	57 124
ეროვნული ვალუტა რესიდენტ ბანკში	3 686	1 497
	<u>10 630</u>	<u>58 621</u>

6. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2018 წელი</u> ლარი	<u>2017 წელი</u> ლარი
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	237 413	212 937
	<u>237 413</u>	<u>212 937</u>

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების სახით კომპანია ფლობს სააღრიცხვო პროგრამებს.

8. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრასპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების რემონტი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება	17 805	13 153	35 492	16 915	83 365
დარიცხული ცვეთა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5353	3871	4029	5126	18379
შემოსავალი	-	2 763	-	-	2 763
გასავალი	-	-	-	-	-
დარიცხული ცვეთა/ამორტიზაცია	1868	2106	6293	2203	12470
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10 584	9 939	25 170	9 586	55 279

9. საფაქრო ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u> ლარი	<u>2017 წელი</u> ლარი
ვალდებულები საქონლის მოწოდებიდან	161 129	162 004
	<u>161 129</u>	<u>162 004</u>

10. საგადასახდო ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u> ლარი	<u>2017 წელი</u> ლარი
დღგ-ის ვალდებულება	1 860	9 273
	<u>1 860</u>	<u>9 273</u>

11. მიმდინარე სასესიო გალდებულებები

საკრედიტო ინსტიტუტი	განაკვეთი	ვალუტა	2018 წელი	2017 წელი
სს "თიბისი ბანკი"	12.25%	ლარი	372 749	319 991
			<u>372 749</u>	<u>319 991</u>

12. ანგარიშების თარიღის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს არ ჰქონია ადგილი.

13. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 28 სექტემბერს.

შპს "არალ-პეტროლი"-ს

დირექტორი: პავლე ბათმანაშვილი




შპს "არალ-პეტროლი"-ს

ბუღალტერი: სიმონი აფრიაშაშვილი

